დადგენილება № 05/2024 „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის # 07/2024 დადგენილების დამტკიცების თაობაზე

დადგენილება #05

თარიღი: 21 თებერვალი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე და 61–ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის წარდგინებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 21 თებერვლის №5 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

**წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის # 07/2024 დადგენილება თანდართული სახით.
2. წინამდებარე დადგენილების 1–ლი მუხლიდან გამომდინარე ძალადაკარგულად ჩაითვალოს კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დებულება.
3.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი,№64);
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი